მიხეილ ბახტაძე, გიორგი მამულია

# მასალები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან

(1917-1921 წლები)

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი 2005

რედაქტორი პროფესორი დიმიტრი შველიძე

ISBN 99940-11-41-3

© მიხეილ ბახტაძე, გიორგი მამულია, 2005.
© გამომცემლობა „არტანუჯი", 2005.

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში კავკასია კვლავ მოექცა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გეოპოლიტიკურ ინტერესთა სფეროში. კავკასიის, როგორც ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული რეალობის მართებული და სწორი გააზრება, შეუძლებელია რეგიონში საქართველოს ძველი და თანამედროვე ისტორიულ-გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ობიექტური შეფასების გარეშე. საქართველოს ფაქტორი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კავკასიის ერთიან ორგანიზმად განვითარებას. ესაზღვრებოდა და ესაზღვრება რა კავკასიური რეგიონის ყველა სახელმწიფოსა თუ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, საქართველო, ტრადიციულად უდიდეს როლს თამაშობდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის კავშირ-ურთიერთობაში. საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ხიდს ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის გეოსტრატეგიულ სივრცეებს შორის. საქართველო იყო კავკასიის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი. მისი მონაწილეობის გარეშე არ წყდებოდა რეგიონის არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი. უძველესი დროიდან მოყოლებული, საქართველოსა და დანარჩენი კავკასიის ურთიერთობას ორმხრივი საფუძველი ჰქონდა.

XI საუკუნიდან ქართული პოლიტიკის გავლენა კავკასიაზე განსაკუთრებით იზრდება, რაც უშუალო კავშირშია ჩვენი სახელმწიფოს მანამდე არნახულ სიძლიერესთან. ნიშანდობლივია, რომ ამავე პერიოდში იბადება კავკასიის გაერთიანებისა და კავკასიელ ხალხთა ერთობის იდეოლოგიური დოქტრინა. ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი ქმნის თეორიას

კავკასიის ყველა ხალხის საერთო წარმომავლობისა და, აქედან გამომდინარე, ნათესაობის შესახებ. დავით აღმაშენებლიდან (1089-1125 წწ.) მოყოლებული, დასაბამს იღებს საქართველოს სამეფოს ირგვლივ მთელი კავკასიის გაერთიანების პროცესი. ჩრდილოეთ კავკასიაში ფართოდ ვრცელდება ქრისტიანობა, ქართული ენა, რომელიც, ამავე დროს, ასრულებს საერთოკავკასიური ურთიერთობის ენის როლს.

ვითარება იცვლება XIII საუკუნეში. მონღოლთა შემოსევების შედეგად დასუსტებული საქართველო ვეღარ ახერხებს თავისი პოზიციების შენარჩუნებას რეგიონში. თუმცა გიორგი ბრწყინვალის (1318-1346 წწ.) დროს მდგომარეობა ამ თვალსაზრისით რამდენადმე გამოსწორდა, თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევები (1386-1403 წწ.) კარდინალურად ცვლიან ისტორიულ სურათს. თემურმა ცეცხლითა და მახვილით გაავრცელა ისლამი ჩრდილოეთ კავკასიაში, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა იქ არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. აღნიშნულმა ფაქტორმა, რომელსაც პარალელურად თან სდევდა საქართველოს ფეოდალური დასუსტება-დაქუცმაცების პროცესი, თავისი წვლილი შეიტანა ძირითადად სოციალურ-ეკონომიური მიზეზებით გამოწვეულ დაპირისპირებაში ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ხალხთა შორის. თუმცა-კი, პირველ ეტაპზე, ეს ჯერ კიდევ აშკარად არ შეინიშნებოდა.

XV-XVI საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთში მომხდარმა ცვლილებებმა: ბიზანტიის იმპერიის დაცემამ, კავკასიის გეოსტრატეგიულმა იზოლაციამ და ისლამურ გარემოცვაში მოქცევამ, ირან-ოსმალეთის ექსპანსიამ, ძირფესვიანად დაარღვიეს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას შორის მანამდე არსებული ურთიერთინტერესთა ბალანსი.

ამის შემდგომ, კავკასიის მისადგომებთან ნელ-ნელა ჩნდება რუსეთი. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთი უკვე აქტიური პოლიტიკის გატარებას იწყებს არა მარტო ჩრდილოეთ, არამედ სამხრეთ კავკასიაშიც. რუსეთი, საკუთარი დიდმპყრო-

ბელური მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, ბრძოლას იწყებს კავკასიის ხელში ჩასაგდებად.

კავკასიის დაუფლებისათვის მებრძოლ სამ სახელმწიფოს: რუსეთს, ირანსა და ოსმალეთს შორის, რუსეთი აშკარად უძლიერესი იყო. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე სისხლისმღვრელი ომების შემდეგ, სწორედ ის ახერხებს მთელი კავკასიის დაპყრობას.

ობიექტურ გეოპოლიტიკურ მიზეზთა გამო, საერთოკავკასიურ ურთიერთობათა სისტემაში საქართველოს როლი ყოველთვის გამორჩეული და წამყვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიამ მეთოდურად მოუღო ბოლო ქართულ სახელმწიფოებრიობას, საქართველომ XIX საუკუნეშიც შეინარჩუნა კავკასიური რეგიონალური გეოპოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობა და ფუნქციები. არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ თბილისი იქნა არჩეული კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენციად. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც, თავი იჩინა ობიექტურმა გეოპოლიტიკურმა რეალობამ.

1879 წლის 5 აპრილს გიორგი წერეთელი წერდა გაზეთ „დროებაში" - „ძველი კავკასიის ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნემდე, საკუთრად საქართველოს ერის ცხოვრებას შეიცავდა. მთელი კავკასიის ისტორია, საქართველოს ისტორია იყო. თუ რაიმე პოლიტიკური ბრძოლა ატყდებოდა კავკასიაში, ის უთუოდ საქართველოს ერის ბრძოლა უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფეების თაოსნობით, თუ რომ ეს ბრძოლა კავკასიიდან გადავიდოდა აზიის ნიადაგზე, უსათუოდ ეს უნდა მომხდარიყო საქართველოს ჯარის გამოსვლით კავკასიიდან საქართველოს მეფის წინამძღოლობით. მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს სამეფო გაუქმდა და ამის შემდეგ ყოველივე პოლიტიკურ გარემოებას სხვა სახელი ეწოდა, მაგრამ დიდი ან მცირე პოლიტიკური ბრძოლა, როგორც ადრე ყოფილა კავკასიის ხალხებში, შიგ გარეულან და მათი დიდი, თუ მცირე მნიშვნელობა კვლავ დამტკიცებულა".

1918 წელს კვლავ აღდგა ქართული სახელმწიფოებრიობა. თუმცა საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ მხოლოდ სამი წელი იარსება, იგი, ამისდამიუხედავად, ტრადიციულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმ პერიოდის საერთოკავკასიურ ცხოვრებაში. რუსულ-თურქული აგრესიის წინააღმდეგ ქართული სახელმწიფო მთელი კავკასიის დარაზმვას ცდილობდა და, ამავე დროს, საკუთარ პოლიტიკას უხამებდა თითოეული კავკასიური ერთეულის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპებს. უამრავი პარალელის გავლება შეიძლება მაშინ და დღეს არსებულ პრობლემებსა და საკითხებს შორის. მშვიდობიანი თანაარსებობა კავკასიის რეგიონში; — აი ის ძირითადი მიზანი, რისთვისაც ქართული პოლიტიკის მესვეურნი იღწვოდნენ მაშინ და უნდა იღწვოდნენ მომავალშიც.

საქართველოს ძირითადი ფუნქცია იყო, არის და იქნება მშვიდობიანი კავკასიის ფლაგმანად გამოსვლა, საერთოკავკასიური ინტერესებიდან გამომდინარე.

საქართველო და ერთიანი კავკასია, ეს ამოუწურავი თემაა. ამჟამად, ჩვენ გვსურს განვიხილოთ ის მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც შეეხება საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობას 1917-1921 წლებში.

ამ პერიოდში საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობა საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხით დაინტერესება და მისი ობიექტური ასახვა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ჩვენ შევეცადეთ არსებული ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას და ვაქვეყნებთ საარქივო მასალებს, საიდანაც კარგად ჩანს ქართული სახელმწიფოს პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ.

ქართველი ერი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხებისადმი. რუსეთის იმპერიის დიდმპყრობლური პოლიტიკა კავკასიის რეგიონში გრძელდება დღესაც და სწორედ ამ ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა ბოლშევიკთა თუ თეთრგვარდიელთა ზეწოლის ქვეშ მყოფ კავკასიელ მთიელთა ურთიერთობები დამოუკიდებელ საქართველოსთან.

ჩრდილოეთ კავკასიელებს, ბოლშევიკებისა თუ თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ საკუთარი თავისა და საქართველოს იმედი ჰქონდათ. სწორედ საქართველო იყო ის ქვეყანა, რომელსაც ყოველთვის მიმართავდნენ დახმარებისათვის ისინი. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფნი ცდილობდნენ საქართველოსთვის დაეკავშირებინათ საკუთარი ბედი და მომავალი. ქართველების დახმარებით გადაერჩინათ საკუთარი ერი, თვითმყოფადობა, კულტურა, ტრადიციები და ადათები.

თავის მხრივ საქართველოც დაინტერესებული იყო ჩრდილოეთ კავკასიელებთან ურთიერთობით. რუსეთის ძალმომრეობითი პოლიტიკა კავკასიაში, აიძულებდა ახლად ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ საქართველოს, რათა ყოველი ღონე ეხმარა საკუთარი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ამ ბრძოლაში საქართველოს მოკავშირეები იყვნენ აზერბაიჯანი და ჩრდილოეთ კავკასიელები. 1917-1921 წლებში საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობები თვალნათლივ აისახა იმ დროის საარქივო დოკუმენტებში, რომელთაც თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავთ.

რა თქმა უნდა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის არ იყო ყოველთვის აზრთა სრული თანხვედრა. იყო განსხვავებული მოსაზრებები, ზოგჯერ წინააღმდეგობებიც კი, მაგრამ ყოველგვარი უთანხმოება იწევდა უკან, როდესაც საქმე ეხებოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვას. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო რთულდებოდა ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში, რაც უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვა, მით უფრო იზრდებოდა მათი ლტოლვა საქართველოსადმი. მართალია ჩრდილოეთ კავკასიელებს სარწმუნოებრივი ერთიანობა აკავშირებდათ აზერბაიჯანთან, მაგრამ, როგორც დოკუმენტებიდან ცალსახად ჩანს, სრულიად კავკასიის ლიდერად ისინი მაინც საქართველოს განიხილავდნენ.

1917 წლის თებერვალ-მარტში განვითარებული მოვლენების შედეგად რუსეთში დაემხო რომანოვების დინასტია და შეიქმნა

დროებითი მთავრობა. დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის სამართავად შექმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), რომელიც 18 მარტს შეუდგა თბილისში თავისი მოვალეობების შესრულებას.

1917 წლის 1 მაისს კი ვლადიკავკაზში გაიხსნა კავკასიის მთიელთა პირველი ყრილობა. ყრილობამ განაცხადა, რომ ის მხარს უჭერდა რუსეთის დროებით მთავრობას: - «Съезд, [...] признает необходимым всемерно поддерживать все начинания Временного правительства России, поскольку Временное правительство будет последовательно и неукоснительно проводить в жизнь принципы декларации 6-го марта сего года, провозглашенные им в согласии с Советом солдатских и рабочих депутатов»[1].

ყრილობაზე შეიქმნა კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირი. კავშირის მიზანი იყო:

«[...] Сплочение горцев Кавказа для защиты и упрочения завоеванных революцией свобод, привеления в жизнь демократических начал и защиты общих для всех горских племен, политических, социальных и культурно-национальных интересов».

სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით კავშირი აცხადებდა, რომ:

«Первым условием для проведения демократических начал свобод горцы признают установление в России через Учредительное собрание Демократической Федеративной Республики [...]»[2].

ამ პერიოდში არც სამხრეთ და არც ჩრდილოეთ კავკასიაში არ იდგა რუსეთისაგან გამოყოფის საკითხი. ამდენად, არც კავკასიელთა გაერთიანების საკითხი იყო აქტუალური. უფრო მეტიც, ჩრდილოეთ კავკასიელ მოღვაწეთა ნაწილი საფუძველ-

---

[1] Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (1917-1918 г.г.). Горская республика (1918-1920 г.г.). Документы и материалы. Махачкала, 1994. с. 46.

[2] იქვე, გვ. 48-49.

შივე ეწინააღმდეგებოდა საკითხის ამგვარ დაყენებას. ასეთი პოლიტიკური პოზიციის ნათელი დადასტურებაა ის ღია წერილი, რომელიც ევგენი გეგეჭკორისადმი იყო მიმართული და გამოქვეყნდა გაზეთ „Время"-ში, 1917 წლის 20 სექტემბერს. ამ წერილში აღნიშნული იყო შემდეგი:

«Гражданин Евгений Петрович! Краевым центром Советов с[оциалистов]-р[еволюционеров] к[раевых] деп[утатов] на заседании 6 сентября [1917 г.] по вопросам о реорганизации высшей правительственной власти на Кавказе постановлено:

[...] По политическим и экономическим соображениям Кав[казский] рев[олюционный] комитет распространяет свою деятельность на Сев[ерный] Кав[каз].

[...] Цент[ральный] Комитет Союза объединенных горцев считает необходимым подчеркнуть, что именно экономические, политические, этнографические, географические соображения вызвали административное отделение Северн[ого] Кавказа от Закавказья, что отделение это было одним из ранних практических завоеваний революции на Кавказе.

Стремление вновь воссоединить Сев[ерный] Кавказ с Закавказьем Центр[альный] Комитет считает противоречащим демократическому принципу административной децентрализации.

Комитет не может не усмотреть в этом шаге также и элемент некоторого недоверия к демократическим организациям на Сев[ерном] Кавказе.

[...] Я считаю долгом выразить категорический протест против проектированного Вре[менным] кавк[азским] револ[юционным] комитетом порядка реорганизации краевой правительственной власти.

[...] Представитель Центрального Комитета Союза объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана, председатель Тифлисского Мусульманского комитета Гайдар Бамматов»[3].

---

[3] იქვე, გვ. 70, 72-73.

ჰაიდარ ბამატი პირდაპირ აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ადმინისტრაციული გამოყოფა ამიერკავკასიისგან გამონვეული იყო ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული მოსაზრებებით. სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანება მას დემოკრატიული პრინციპების საწინააღმდეგო ნაბიჯად მიაჩნია. 1917 წლის სექტემბერში რუსეთის იმპერია ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი და ჰაიდარ ბამატის ეს პოზიცია გარკვეულ წილად გასაგებია. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, შემდგომში ჰაიდარ ბამატის შეხედულებები რადიკალურ ტრანსფორმაციას განიცდიან, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე.

1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთში მომხდარმა სახელმწიფო გადატრიალებამ და ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლამ, შეცვალა არა მარტო რუსეთისა და მისი ყოფილი კოლონიების, არამედ მთელი მსოფლიოს განვითარებაც.

დროებითი მთავრობის დამხობასთან ერთად, შეწყდა ოზაკომის ფუნქციონირებაც. 15 ნოემბერს კი მუშაობა დაიწყო სამხრეთ კავკასიის ახალმა სამხარეო ხელისუფლების ორგანომ - ამიერკავკასიის კომისარიატმა (მთავრობამ). ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი იყო.

ოქტომბრის გადატრიალებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ჩრდილოეთ კავკასიაშიც. თავდაპირველად, ჩრდილოკავკასიელთა ლიდერები შეეცადნენ რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას. 3 დეკემბერს კავკასიელ მთიელთა დროებითმა მთავრობამ, თერგის ოლქის კაზაკურ ხელისუფლებასა და თერგისა და დაღესტანის ოლქების ქალაქთა კავშირთან ერთად- ხელისუფლების ახალი დროებითი ორგანო შექმნა.

5 დეკემბერს გაზეთი „Вперед" იუწყებოდა: - «Временное правительство Союза Горцев Кавказа и войсковое правительство Терского Казачьего Войска признали необходимым временно отказаться от части своих полномочий и образовать совместно с Союзом городов Терской и Дагестанской областей, Временное Терско-Дагестанское правительство, облаченное впредь до создания

основных законов, полнотой общей и местной государственной власти [...]»[4].

როგორც ჩრდილოკავკასიის დროებითი მთავრობის ერთ-ერთი ლიდერი, ვისან გირეი ჯაბაგი (ჯაბაგიევი) მიუთითებდა, ზემოხსენებული ხელშეკრულების მთავარ მიზანს წარმოადგენდა საფუძველი შეემზადებინათ ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის. ამავე დროს არ დაეშვათ შეტაკება კავკასიის მკვიდრ ხალხებსა და ჩამოსახლებულ რუსულ მოსახლეობას შორის.

სულ მალე რუსეთში ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლამ ჩრდილოკავკასიაში სამოქალაქო ომის დაწყება გამოიწვია. 1917 წლის 21 დეკემბერს, ისარგებლა რა არსებული მდგომარეობით, ჩრდილოკავკასიელთა მთავრობამ რუსეთისაგან ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კავშირის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ჩრდილოკავკასიელთა მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, როგორც მოსალოდნელი იყო ადგილობრივი რუსულ-კაზაკური მოსახლეობის მკვეთრი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რაც მყისვე სისხლიან დაპირისპირებაში გადაიზარდა. დაიწყო სამოქალაქო, ფაქტობრივად კი, მორიგი რუსულ-კავკასიური ომი, რომელშიც როგორც «წითელ», ისე «თეთრ» რუსეთს კავკასიის ხალხთა ახალი დაპყრობა ჰქონდა დასახული მიზნად[5].

მდგომარეობას ამძიმებდა ისიც, რომ გრძელდებოდა პირველი მსოფლიო ომი. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში მოწერილი საზავო ხელშეკრულების თანახმად რუსეთმა თურქეთს გადასცა ბათუმის, ყარსისა და არდაგანის (არტაანი) ოლქები. ხამხრეთ კავკასიას თურქეთის ოკუპაციის საფრთხე დაემუქრა. ჩრდილოეთ კავკასია კი სამოქალაქო ომის ალში გაეხვია. 19 აპრილს დაღესტანში გამოცხადდა რევოლუციური კომიტეტის (რევკომის) შექმნა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

---

[4] იქვე. გვ. 94.

[5] Jabagi (Gabagi) V. G. Revolution and Civil War in the North Caucasus – End of the 19th – Beginning of the 20th Century. Central Asian Survey. London, 1991. Vol. 10. N. 1 – 2. pp. 121-122.

საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ასევე ყუბანზე, სტავროპოლში.

1918 წლის 22 აპრილს გამოცხადებულ იქნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. დაკომპლექტდა დელეგაცია, აკაკი ჩხენკელის მეთაურობით, რომელსაც დაევალა თურქეთთან საზავო მოლაპარაკებების წარმოება. დელეგაცია ბათუმში გაემგზავრა.

1918 წლის მაისის დასაწყისისათვის, სამხედრო-პოლიტიკური ვითარება კავკასიაში კატასტროფული იყო. სერიოზული საფრთხე დაემუქრა როგორც სამხრეთ ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. შექმნილი კრიზისული ვითარების დროს თავისთავად აქტუალური გახდა კავკასიის ერთიანობის იდეა, რაც ცხადია გულისხმობდა თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალების გაერთიანებასა და დაპირისპირებას საერთო მტრებისადმი.

ასეთ რთულსა და დაძაბულ სიტუაციაში, ჩრდილოეთ კავკასიელთა დელეგატები თავადაც ჩავიდნენ ბათუმში. ჩრდილოეთ კავკასიის მთავრობის წევრი, ზუბაირ თემირხანოვი შემდეგი შინაარსის წერილს წერდა ბათუმის საზავო კონფერენციაზე მყოფ გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელს, გენერალ ფონ ლოსოვს: - «С тех пор, как в последнее время русский фронт перенесен за пределы Северного Кавказа и опасность, грозившая с юга народам Северного Кавказа, была ликвидирована, горцы могли пойти непосредственно к своей желаемой и священной цели - образовать независимые государства с народами юга Кавказа, связанные с ними и общностью происхождения и религией, государство, которое должно было быть тесно связано экономическими и военными узами с Турцией и государствами Центральной Европы. Чтобы достигнуть своей цели, представители Северного Кавказа и Дагестана отправились в Тифлис, где они вели с правительством, с национальными организациями и с политическими партиями переговоры по вопросу объединения двух половин Кавказа. Представители Северного Кавказа, а именно: Зубаир

Темирханов, Гайдар Бамматов, Топа Чермоев и Махмед-Кади Демиров напомнили, что по причинам военным, политическим и экономическим независимое существование Южного Кавказа невозможно без союза с Северным Кавказом и приняли меры для того, чтобы как можно скорее прекратить враждебные отношения между Тифлисом и Турцией»[6].

თემირხანოვი პირდაპირ წერს, თუ რა არის ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა მიზანი - დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა სამხრეთ კავკასიის ხალხებთან ერთად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ ქვეტექსტად გატარებულია კავკასიის კონფედერაციის შექმნის იდეა. თუ წერილის ავტორს ვერწმუნებით, (დაეჭვების მიზეზი კი ნამდვილად არ გაგვაჩნია), თბილისში მოლაპარაკებებიც (კონსულტაციები) გამართულა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის გაერთიანების საკითხებზე.

როგორც ვხედავთ პოზიცია შეიცვალა ჰეიდარ ბამატმაც კი, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანებისა. ამის მიზეზი იყო 1918 წლის მაისისათვის კავკასიაში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური მდგომარეობა.

ჩრდილოეთ კავკასიელთა დეპუტაცია საზავო კონფერენციაზე დაშვების ნებართვას ითხოვდა.

ძალიან საინტერესოა იმ სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი, რომელიც გაიმართა 9 მაისს, ბათუმში.

«Председательствует: **А. И. Чхенкели**

Участвуют: Все члены делегации Закавказского правительства; представители Северного Кавказа и Дагестана: **Гайдарбек Бамматов и Зубаир Темирханов**; Управляющий делами, секретарь и адъютант председателя.

Секретарь заседания - **Р. С. Микеладзе.**

---

[6] Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (1917-1918 г.г.), Горская республика (1918-1920 г.г.). с. 105.

Повестка дня:

1. О допуске делегации Горской Республики к Батумской конференции.

**А. И. Чхенкели.** Вчера посетил меня Халил-бей и говорил об участии горцев в общей Конференции, в которой принимает участие делегация Закавказского правительства с одной стороны и с другой - делегации Германского и Оттоманского правительств. Как мне показалось, они ничего не имеют против допущения горцев к участию в заседаниях Конференции, но хотели бы знать наше мнение, так как необходимо взаимное согласие. Мне хотелось бы знать его до открытия заседания Конференции. Я со своей стороны сказал, что судя по тем тенденциям, которые у нас господствуют, препятствий к их допущению нет и что этот вопрос будет обсуждаться на заседании делегаций.

[...]

**Р. И. Качазнуни.** Я себе не вполне уяснил положение вещей. В качестве кого они хотят принять участие, в качестве представителей Закавказского государства или в качестве независимого уже 4-го государства.

**А. И. Чхенкели.** В качестве правительства Северного Кавказа.

[...]

**Р. И. Качазнуни.** Предполагают ли они, горцы, что будут вместе с нами принимать участие в наших заседаниях и через Вас выступать на заседаниях Конференции или собираются выступать вполне самостоятельно?

**А. И. Чхенкели.** Я думаю, что они будут выступать самостоятельно.

[...] За Ваше отсутствие, Гайдарбек. тут задавались вопросы, на которые Вы, надеюсь, ответите.

**Р. И. Качазнуни.** Каков будет характер работ. Будете ли с нами, или будете выступать вполне самостоятельно?

**Гайдарбек Бамматов.** Я полагал бы, что мы не имеем никакой возможности слиться с Закавказской делегацией. Мы находимся

в состоянии образования единого Кавказского государства. Но по сей день факта слияния нет и выход отсюда такой, что участие наше должно быть обособлено.

[...] Делегация Северного Кавказа и Дагестана ставила себе целью возможность слияния с Закавказским государством. Но для этого, после провозглашения независимости Закавказья, нам было необходимо предварительно заручиться благосклонным отношением держав Четверного Союза к образованию самостоятельного государства на Северном Кавказе, которое, после обнародования своей независимости сделало бы соответствующие шаги к слиянию с Закавказским государством. Формы этого слияния, конечно, являются нашим внутренним вопросом, имеют быть разрешены путем взаимного соглашения договаривающихся сторон. Но отрицать момент международного характера, вопроса воссоединения Северного Кавказа с Закавказьем, по моему мнению представляется совершенно невозможным. Момент воссоединения двух независимых государств есть безусловно момент, требующий международной санкции, так что в этом вопросе необходимо строго разграничить момент принципиального волеизъявления на воссоединение и следующий момент, строительную работу по созданию единого государства, которое составляет исключительную принадлежность соединяющихся государств.

[...]

**Р. И. Качазнуни.** Вы говорите, что Северный Кавказ не объявлял независимости и не вошел в Закавказское государство, в качестве кого же Вы будете на Конференции?

**Гайдарбек Бамматов.** По этому поводу есть аналогичный прецедент. В таком же положении была Украина в Брест-Литовске. У нас есть культурные, экономические и политические интересы и всех данных достаточно, чтобы Турция и Германия пошли на это.

**М. Г. Гаджинский.** Вопрос относительно слияния с Закавказьем где будет разрешаться?

**Гайдарбек Бамматов.** Вопрос о слиянии, в смысле выработки форм будущего государственного образования, является вопросом внутренним. Принципиально же вопрос о слиянии является международным и необходимо его разрешение в международном масштабе.

**М. Г. Гаджинский.** Мы находились в совершенно аналогичном положении, и чем объяснить тогда Ваше отдельное выступление, раз мы являемся членами одной семьи?

**Гайдарбек Бамматов.** Тут разница в оттенках. Вы тут присутствуете в качестве Закавказского правительства, мы же в качестве представителей Северного Кавказа. Я полагаю, что когда я говорю о международном масштабе, я рассматриваю Закавказье и Северный Кавказ как единое целое.

**А. И. Чхенкели.** Формально у нас неодинаковое положение. Мы ведь выступаем как государство. Но это отнюдь не исключает, но заключает возможность солидарного выступления. У нас будет постоянная связь и постоянный контакт с представителями Северного Кавказа и Дагестана.

[...]

**Н. Я. Николадзе.** Не Закавказское правительство возбуждает вопрос о необходимости слияния, а сама Конференция ставит его. Раз помимо нашей воли этот вопрос будет поставлен перед Конференцией, мы должны его обсудить.

**Р. И. Качазнуни.** Отношение нашего правительства к этому вопросу такое: не только мы не берем на себя инициативы обсуждать это на Конференции, но считаем и хотим, чтобы это соединение носило бы характер внутреннего распорядка и являлось бы актом свободного волеизъявления народов Северного Кавказа и Закавказья.

**Н. Я. Николадзе.** Так как я не принадлежу к правительству и не принимаю участия в политической жизни страны, но говорю лично от себя и от своих единомышленников. Постановление правительства разделить я не могу. Соединение Северного Кавказа

с Закавказьем не есть только внутренний вопрос, он настолько важный и опасный, что нам нужна известная внешняя гарантия. Без помощи извне этого воссоединения быть не должно. И ни один грузин не может возложить на свою Родину ответственность за единение с Северным Кавказом без уверенности, что мы будем иметь гарантии, что никто из нас не будет нападать.

**Гайдарбек Бамматов.** Принципиальные вопросы воссоединения Закавказья и Северного Кавказа не могут не стать предметом обсуждения здесь на Конференции. И если бы у горцев не было уверенности в этом воссоединении, горцы сюда не явились бы.

[...]

**М. Г. Гаджинский.** Можно было бы поставить вопрос так, что горцы самостоятельно, по собственной инициативе, предпримут шаги к вхождению в состав Закавказья.

[...]

**Гайдарбек Бамматов.** [...] Момент установления формальных сторон объединения - дело внутреннего порядка. Этот вопрос разрешается в том же порядке, в котором будет, например, разрешаться в Закавказье национальные вопросы; грузинский, армянский, мусульманский.

Но и на Конференции вопрос о воссоединении не может быть устранен, так как в зависимости от его решения находится самая возможность провозглашения Северным Кавказом независимости. В этой плоскости это уже становится вопросом международным.

Не получат Закавказье и Северный Кавказ гарантии, и дело не наладится.

По существу Вы приветствуете наше стремление объединиться с Вами, следовательно, надо установить и внутреннюю связь.

**А. И. Чхенкели.** Вопрос все в том, что чему предшествует: вопрос воссоединения вопросу о признании или наоборот.

**Гайдарбек Бамматов.** Формально - вопрос признания предшествует. Но как хотите Вы, чтобы в столь жизненном вопросе мы действовали так, что, объявив себя независимыми, могли бы не получив гарантии, остаться в беспомощном положении.

А. И. Чхенкели. Нельзя упускать из виду, что Вы не входите в состав нашей делегации. Вы - особое представительство. По этому отойти от необходимости, прежде всего, утвердить независимость Северного Кавказа совершенно невозможно. Выясниться этот вопрос и вопрос воссоединения сравнительно легкий вопрос. На Конференции как раз и выяснится, что кроме единого Закавказья существует и Северный Кавказ. Если это будет установлено, то уже не трудно будет получить санкцию правительства на воссоединение. На Конференции мы скажем, что коль скоро независимость признана, то при известных гарантиях мы готовы объединиться.

[...] Итак, мы сообщаем Халил-бею, что Закавказская делегация не имеет никаких возражений против участия горцев в заседаниях Конференции.

Заседание закрывается»[7].

ამრიგად, ჰაიდარ ბამატი თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიელები, იმყოფებიან ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის პროცესში. იგი თვლის, რომ ეს გაერთიანება კავკასიელების შიდა საქმეა, რომელიც მოლაპარაკებების გზით უნდა გადაწყდეს. საინტერესოა მისი სიტყვები: «И если бы у горцев не было уверенности в этом воссоединении, горцы сюда не явились бы».

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიელი დელეგატები გაცილებით უფრო აქტიურად იბრძოდნენ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანებისათვის, ვიდრე ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლები. ეს გასაგებიცაა. ამიერკავკასიის რესპუბლიკას საკუთარი პრობლემებიც ბევრი ჰქონდა. ჩრდილოეთ კავკასიასთან გაერთიანების შემთხვევაში კი თავს იჩენდა ახალი სირთულეები. კიდევ უფრო დაიძაბებოდა ურთიერთობა ბოლშევიკებთან და თეთრგვარდიელებთან. აშკარად დადგებოდა ამ რეგიონში

[7] იქვე, გვ. 108-116.

მიმდინარე საომარ ოპერაციებში ჩაბმის საკითხი. ეს კი შესაძლოა დამღუპველი ყოფილიყო მთელი კავკასიისათვის. სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანების შემთხვევაში წარმოქმნილი საფრთხის შესახებ ნათლად მიანიშნებდა თავის გამოსვლაში ნიკო ნიკოლაძე. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიელთა სურვილს, გაერთიანებულიყვნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკასთან, ეს სრულიად გასაგებია. ეს იყო მათთვის ალბათ ერთადერთი შანსი, ავტომატურად მოეპოვებინათ საერთაშორისო აღიარება, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აღიარებასთან ერთად. თუნდაც „დე ფაქტოდ". რადგან მარტო მათ, მოქცეულებს „წითლებსა" და „თეთრებს" შორის და ამრიგად ქცეულებად საომარი მოქმედების ასპარეზად, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არავინ არ აღიარებდა.

ბათუმის საზავო კონფერენციაზე ვითარება დაიძაბა. ვერ მოხერხდა არა თუ მთელი კავკასიის ერთიანი პოზიციის შემუშავება, არამედ ერთიანობა დაირღვა ამიერკავკასიის რესპუბლიკის დელეგაციაშიც კი. ამგვარ ვითარებაში ყველა ცალ-ცალკე შეუდგა საკუთარი თავის გადარჩენისათვის ბრძოლას.

1918 წლის 11 მაისს გამოცხადდა ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა და დაღესტნელთა რესპუბლიკის (მთიელთა რესპუბლიკის) შექმნა.

ამავე დროს, როგორც ცხადყოფენ დოკუმენტები, მოცემულ პერიოდში გერმანიის ხელისუფლებას, საქმეში ჩართული სამხედროების სახით, დასაშვებად მიაჩნდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანება.

1918 წლის 17 მაისს გენერალი ფონ ლოსოვი წერდა აკაკი ჩხენკელს:

«Письмом от 8-го сего месяца Гайдар Бамматов сообщил мне, что туземные народы Северного Кавказа и Дагестана также изъявляют волю быть независимыми. Так как инструкции, полученные мною от Императорского Правительства, предвидят возможность союза горцев Северного Кавказа и Дагестана с

Закавказьем, я ничуть не сомневаюсь, что Германское Правительство отнесется к вопросу о признании независимости Северного Кавказа и Дагестана совершенно также, как и к независимости Закавказья»[8].

დღეს ძნელი სავარაუდოა, რამდენად კარგი თუ ცუდი იქნებოდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანება. ფაქტია, რომ არა თუ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანება არ მოხერხდა, არამედ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკაც კი დაიშალა.

პროგერმანულად განწყობილი საქართველოს, ინგლისისაკენ მომზირალი სომხეთისა და პროთურქული აზერბაიჯანის ყოფნა ერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში შეუძლებელი იყო.

თურქეთის აგრესიისაგან თავის დაცვის მიზნით და გერმანიისაგან დახმარების მიღების იმედით, 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

როგორც ჩანს, კონფერენციის მიმდინარეობისას, ჩრდილოეთ კავკასიელი დელეგატები დარწმუნდნენ, რომ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანება იმ ეტაპზე შეუძლებელი იყო და თვით ამიერკავკასიის სახელმწიფოც დაშლის წინაშე იდგა. ასეთ ვითარებაში მათ მხოლოდ სამხედრო დახმარება ითხოვეს გერმანიისა და თურქეთისაგან. ეს დახმარება ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს გავლით უნდა მოხვედრილიყო. სხვა გზა პრაქტიკულად არც არსებობდა.

25 მაისს გენერალი ფონ ლოსოვი წერდა ჰაიდარ ბამატს:

«В ответ на Ваше письмо от 25 мая текущего месяца я имею честь уведомить Вас, что я имел беседу с Чхенкели по вопросу о свободном пропуске через территорию Закавказской республики аммуниции, оружия и кадров оттоманских инструкторов, предназначенных для горцев Северного Кавказа.

Господин Чхенкели заявил мне, что в течение этих дней [...] как только положение хоть немного выяснится, он вступит с Вами в соглашение, чтобы урегулировать это дело. Теперь же я имею

---

[8] იქვე, გვ. 126.

возможность [...] уверить Вас, что всякое соглашение, которое последует по этому вопросу между Вами и господином Чхенкели встретит полное сочувствие Германского Правительства.

Подписал ф[он] Лоссов»[9].

საქართველოს გავლით და ქართული მთავრობის ხელშეწყობით ჩატარებული სამხედრო ექსპედიციის შედეგად, ჩრდილოკავკასიელთა სამხედრო ნაწილებმა 1918 წლის ოქტომბერში შეძლეს განედევნათ მონინაალმდეგე ცენტრალური და აღმოსავლეთ ჩრდილოკავკასიიდან. კერძოდ, - ოსეთიდან, ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან (ქალაქ გროზნოს გარდა) და დაღესტანიდან. კონტროლი დაემყარებინათ ბაქო-ვლადიკავკაზისა და ვლადიკავკაზნალჩიკის სტრატეგიული მნიშვნელობის რკინიგზაზე[10].

არ არის შემთხვევითი, რომ საქართველოს მთავრობის არქივში, ამ ამბების ამსახველი შემდეგი დოკუმენტი შემოინახა:

«ДОГОВОР

1918 года августа 11 дня мы, нижеподписавшиеся, правительство Грузинской Демократической Республики в лице министра путей сообщения и продовольствия Ивана Несторовича Лордкипанидзе с одной стороны и представитель правительства горцев Северного Кавказа Артаган Джанхотович Ужахов и представитель Ингушского национального совета Султан-бек Заурбекович Альбиев с другой – заключили между собой следующий договор:

1. Правительство Грузинской Демократической Республики пропускает через грузинскую территорию транзитные грузы, следующие по распоряжению горского правительства и в адрес по его указанию.

---

[9] იქვე. გვ. 127.

[10] Bammate H. Le probleme du Caucase. Questions de Circassie et de Dagestan. La revue politique internationale. Lausanne, 1918. N 35. p. 212; Jabagi (Gabagi) V. G. Revolution and Civil War in the North Caucasus - End of the 19[th] – Beginning of the 20[th] Century. pp. 124-125.

2. Грузы эти должны быть доставлены грузинским правительством на грузовых автомобилях за плату по десяти рублей с пуда, под ответственность грузинского правительства, до границы республики, а дальше до сел. Джейрах под ответственностью Ингушского национального совета.

3. Доставка потребного количества бензина и смазочных средств для функционирования грузовых автомобилей в оба конца лежит на обязанности Ингушского национального совета.

ПРИМЕЧАНИЕ: Бензин и смазочные средства в один конец должны оплачиваться Ингушским национальным советом, а в другой конец – грузинским правительством.

4. Ингушский национальный совет обязывается предоставить грузинскому правительству двести тысяч пудов кукурузы в сел. Джейрах.

5. Кукуруза должна быть закуплена агентами Грузинского правительства при непременном содействии Ингушского национального совета по рыночной цене, существующей на местах закупки.

6. Закупленная кукуруза должна быть доставлена в сел. Джейрах средствами Ингушского национального совета под его ответственностью за плату не свыше двух рублей с пуда.

7. По получении Ингушским национальным советом в сел. Джейрах первой партии транзитных грузов немедленно отпускаются грузинскому правительству свезенная средствами Ингушского национального совета первая партии кукурузы.

8. Отсутствие транзитных грузов у Ингушского национального совета и горского правительства по их вине не может служить основанием для задержки закупленной агентами грузинского правительства кукурузы.

9. Настоящий договор вступает в силу со дня подписания его сторонами.

10. Договор печатается в трех экземплярах – для правительства Грузинской республики, правительства горцев Северного Кавказа и Ингушского национального совета.

Договор оглашению в печати не подлежит»[11].

ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარია ჩრდილოეთ კავკასიელთათვის იარაღის და სხვა სამხედრო მასალის საიდუმლო მიწოდებაზე, რის შესახებაც 25 მაისს ატყობინებდა ჰაიდარ ბამატს გენერალი ფონ ლოსოვი.

1918 წლის 19 ივნისს, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის, ნოე რამიშვილის სახელზე გამოიგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი:

«Горское правительство, заслушав с чувством глубокого удовлетворения Ваше письмо от 16 июня сего года за № 6926, высказалось за теснейшее сближение с соседним, исторически дружественным с горскими племенами, грузинским народом.

Не только общность наших интересов политических, экономических, этнографических и географических, но и общность интересов в международно-правовой области настоятельно требуют скорейшего заключения политического и экономического союза, для каковой цели Горское Правительство готово назначить немедленно своих представителей и просит вас лишь указать срок, место и число представителей.

В полной уверенности, что Грузинское Правительство всегда будет воодушевлено одинаковым с нами чувством дружбы с горскими народами, прошу принять уверение в совершенном к Вам почтении.

**Председатель Горского Правительства**
**Абдулмеджид Чермоев»[12].**

---

[11] Bibliothèque de documentation internationale contemporaine (Nanterre). Microfilmes les archives du gouvernement Géorgien. Z – 27. Mfm 882. Roll N 26.

[12] Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (1917-1918 г.г.), Горская республика (1918-1920 г.г.). с. 133.

აშკარაა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ მცირე ხნის შემდგომ საქართველო გამოდის ინიციატივით, რათა განმტკიცდეს ურთიერთობები ჩრდილოეთ კავკასიელებთან. ეს უკანასკნელები კი თავის მხრივ მზად არიან ამგვარი ურთიერთობებისათვის.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ურთიერთობები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის არ იყო ცალსახა. ცალკეული საკითხების მიმართ იყო სრულიად საპირისპირო დამოკიდებულებაც და მწვავე წინააღმდეგობაც. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი მიზანია ვუჩვენოთ ის საერთო, რაც იყო საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიელებს შორის. კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ, რომ სწორედ საქართველი იყო მთელი კავკასიის ლიდერი.

ის განსხვავებული მდგომარეობა, რომელიც არსებობდა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიასასთან მიმართებაში, თავის დაღს ასვამდა ორმხრივ ურთიერთობებსაც. თუ რა სახის იყო ეს განსხვავება კარგად ჩანს იმ წერილიდან, რომელიც 31 ივლისს გაუგზავნა მთიელთა რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ჰაიდარ ბამატმა თავის მთავრობის თავმჯდომარეს ჩერმოევს:

«Германия не может создавать на Северном Кавказе правительство, которого там фактически нет, что это было бы провокацией войны с Россией, которая для Германии неприемлема. Мое указание, что Грузия находится с точки зрения правовой в том же положении, было отпарировано указанием, что Московское правительство признает независимость Грузии и ничего против пребывания германских войск в Закавказье не имеет, что же касается Северного Кавказа, Россия непримирима и старание германской дипломатии склонить ее к признанию нашего отделения ни к чему не привели.

[...] Бернсторф[13] мне вчера между прочим сказал, что мы хотим создать правительство заново, что наша столица в руках

[13] გერმანიის ელჩი თურქეთში – მ.ბ., გ.მ.

наших врагов, что мы сами не проявляем самодеятельности и желаем сделать свое политическое дело немецкими руками, что существенная разница между нами и грузинами в том, что в Грузии худо ли, хорошо, правительство существует, и Германия, стоя на точке зрения Брест-Литовского договора, поддерживает уже образованное до их вмешательства и без них государство, у нас же им пришлось создавать бы нечто новое - чего они не могут, оставаясь формально лояльными в отношении России»[14].

1918 წლის შემოდგომისათვის, როდესაც დენიკინელთა შემოტევის შედეგად ჩრდილოკავკასიელთა მდგომარეობა უაღრესად რთული იყო, 13 სექტემბერს საქართველოს მთავრობის სახელზე შემდეგი მიმართვა გამოიგზავნა.

**«Правительству Демократической Республики Грузии**

1919 წ. 23 ივნისი
ოქმი 7 დროებითი სამხედრო საბჭოს სხდომისა
თავმჯდომარე: ნ. ვ. რამიშვილი

მოისმინეს: მოხსენება საბჭოს წევრის მახარაძისა ინგუშეთის წარმომადგენელთა წინადადების შესახებ. გავუწიოთ მათ დახმარება იარაღით.

დაადგინეს: რადგანაც ჩვენ აქამდე კეთილ განწყობილებაში ვიყავით ინგუშებთან და სასურველია ეს განწყობილება შემდგომშიც განვაგრძოთ, სამხედრო საბჭო სცნობს შესაძლოდ გავუმართოთ მათ ხელი, რითაც შეიძლება. გარდა ამისა სამხედრო საბჭო არ ხედავს დაბრკოლებას, რომ გადავცეთ იარაღი. სამხედრო საბჭოს წევრს მახარაძეს მიენდოს ამ დადგენილების შინაარსი აცნობოს ინგუშების ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებს"[36].

საინტერესოა, რომ ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო ნაწილებსაც კი აგზავნიდა. ამას ნათლად ადასტურებს ქვემოთ მოტანილი დოკუმენტი:

13 августа 1919 г.

НАЧАЛЬНИКУ ГРУЗИНСКОГО ЛЕГИОНА

Военный министр приказал Вам выдать полковнику Кереселидзе на нужды экспедиции в Ингушетию: два (2) пулемета, пятьдесят (50) ружей, четыре (4) лошади, две (2) двуколки, сорок (40) овец.

---

[36] საქ. ცსსა, ფ. 2037, აღწ. 1, საქმე №7, ფურცელი 1-2.

Начальник канцелярии Военного Министерства генерал (подпись - Кавтарадзе)

Начальник строевой части полковник (подпись - Губеладзе)»[37].

მალე ლეო კერესელიძე გახდა, „მოხალისეთა არმიის" წინააღმდეგ მებრძოლი ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის ჯარების მთავარსარდალი. მან შემდეგი მიმართვა გაუგზავნა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობას:

«Народы Северного Кавказа и Дагестана! По воле ваших представителей я принял Верховное командование войсками Северного Кавказа и Дагестана.

Призываю население к общему восстанию против врагов Родины. Заявляю, что Деникин борется за восстановление того деспотического царского режима, который свергла революция после долгой борьбы и дала всем народам бывшей России независимость и свободу. Деникин не представляет из себя законную власть. Он самозванец и командует бандами разбойников, громил и грабителей. Англия, Франция и другие державы не признали Деникина и его сподвижников за законное правительство, несмотря на их просьбы. За последнее время Англия и Франция окончательно отказались помогать Деникину и не дают ему больше ни денег, ни оружия. А это потому, что они убедились, что русский народ не признает Деникина и, таким образом, его дело проиграно. Войска Деникина восстают против него. Целые казачьи части снимаются с фронта и уходят домой. Деньги Деникина совершенно обесценились. За один грузинский рубль дают три деникинских рубля.

Большевики одерживают победу за победой над бандами Деникина. Теперь всем стало ясно, что бандам его пришел уже конец. Это хорошо видит и Деникин и вот он направляет свои последние силы, чтобы завоевать Кавказ, где он найдет и продовольствие и людей, которых он пошлет в Россию для борьбы с большевиками.

---

[37] საქ. ცსსა, ფ. 1861, აღწ. 2, საქმე №13, ფურცელი 52.

Храбрые народы Северного Кавказа и Дагестана! Ваши предки не боялись сильных врагов, неужели вы испугаетесь врага, побежденного и умирающего. Так восстаньте все, как один человек и вперед на врага. В этой борьбе я буду с вами. Не дадим врагу нашу землю в рабство, наши села на разорение, наши семейства на позор, могилы наших предков на надругание.

Правда на нашей стороне, и Бог нам даст победу.

Да здравствует свободная Республика Союза Горцев!

**Да здравствует свободный Кавказ!**

**Главнокомандующий войсками Северного Кавказа и Дагестана генерал Лео Кереселидзе»[38].**

1919 წლის აგვისტოში, თბილისში მოქმედმა ჩრდილოეთ კავკასიელთა კომიტეტმა გადაწყვიტა სამხედრო განყოფილების შექმნა და დახმარება სთხოვა საქართველოს ხელისუფლებას:

| | |
|---|---|
| «Комитет<br>Горцев Северного Кавказа.<br>22 августа 1919 г.<br>№ 48<br>г. Тифлис. | Совершенно секретно<br>Г-ну военному министру<br>Демократической<br>Республики Грузии |

Комитет горцев Северного Кавказа, приступив к организации военного отдела, считает необходимым иметь в составе работников этого отдела и представителя Военного Министерства Грузии.

Настоящим Комитет имеет честь просить Вашего распоряжения о присылке вышеупомянутого представителя в военный отдел Горского Комитета.

В состав военного отдела Горского Комитета войдет и представитель штаба народной гвардии.

Председатель комитета Горцев Северного Кавказа (подпись)

Секретарь (подпись)»[39].

---

[38] Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (1917-1918 г.г.), Горская республика (1918-1920 г.г.). с. 350-351.

[39] საქ. ცსსა, ფ. 1864, აღწ. 2, საქმე №34, ფურცელი 15.

სამხედრო სამინისტრო, განმარტებისთვის, გადაწყვეტილე-ბის მიღებამდე დაუკავშირდა საგარეო საქმეთა სამინისტროს:

«№146
Совершенно секретно.
Директору канцелярии
Министерства
Иностранных Дел.

Препровождая при сем на заключение Министерства Иностранных Дел секретное сношение председателя Комитета горцев Северного Кавказа от 22 Августа с\г за №48 о присылке представителя от Военного Министерства Грузии в организуемый горцами военный отдел в г. Тифлисе, прошу уведомить, не встречается ли в этом препятствия со стороны Министерства Иностранных Дел, согласно резолюции военного министра.

Начальник канцелярии генерал Кавтарадзе
Начальник строевой части полковник (подпись)»[40].

როგორც ჩანს საგარეო საქმეთა სამინისტროს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო და სამხედრო სამინისტრომაც მიავლინა თავისი წარმომადგენელი. ამას ადასტურებს შემდეგი დოკუმენტი:

«28 августа 1919 г.
№154
Совершенно секретно
Штаб-Офицеру для поручений при
военном министре - генералу Джапаридзе

Вы назначаетесь представителем Военного Министерства в военный отдел комитета Горцев Северного Кавказа для принятия участия в его работе, совместно с представителем штаба народной гвардии.

---

[40] საქ. ცსსა, ფ. 1864, აღწ. 2, საქმე №34, ფურცელი 16.

О времени и месте заседания военного отдела Горского Комитета и характере его работ сведения имеете получить от председателя означенного комитета Ахмеда Цаликова, проживающего в гостинице «Ориент».

Помощник военного министра генерал (подпись)

Начальник канцелярии Военного Министерства генерал (подпись)»[41].

1919 წლის ზაფხულის ბოლოს, თბილისში შეიკრიბნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან დევნილი პოლიტიკური მოღვაწეები, ჩაატარეს ყრილობა (27 აგვისტო -- 3 სექტემბერი) და მიიღეს გადაწყვეტილება — შეექმნათ საკავშირო მეჯლისი (Союзный Меджлис) (პარლამენტი) დევნილობაში.

1919 წლის 19 ოქტომბერს კი შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის თავდაცვის საბჭო, რომელიც სათავეში ჩაუდგა ბრძოლას დენიკინის არმიის წინააღმდეგ.

30 ოქტომბერს დენიკინის წარმომადგენლებმა შემდეგი მიმართვა გამოაქვეყნეს:

**«Чеченцы!**

Большевики и шайка Узун-Хаджи прогнаны частями Добровольческой армии и дружественных нам чеченцев [...]

Пора понять и чеченцам, какой вред приносят им большевистские, грузинские и другие агитаторы, восстанавливающие их против армии. [...]

За каждого укрытого большевика, грузина или другого подстрекателя, ведущего Чечню к разрушению, виновный аул уплачивает пеню 10.000 рублей, а укрывший - на месяц в тюрьму.

**Генеральный штаб, генерал-майор Драценко**

**Начальник Генерального штаба полковник Якубовский»**[42].

---

[41] საქ. ცსსა, ფ. 1864, აღწ. 2, საქმე №34, ფურცელი 15.

[42] Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (1917-1918 г.г.), Горская республика (1918-1920 г.г.). с. 343.

როგორც მოტანილი დოკუმენტიდან ირკვევა, ჩეჩნებს დახმარებას უწევდნენ ქართველებიც, რომელთა წინააღმდეგაც იყო მიმართული დენიკინის ხელისუფლების ზემოჩამოთვლილი სადამსჯელო ღონისძიებები.

გარკვეულ ეტაპზე, „მოხალისეთა არმიის" წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ერთმანეთს დაემთხვა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ჩრდილოეთ კავკასიიდან დევნილ პოლიტიკოსთა და ბოლშევიკთა ტაქტიკური ინტერესები. თუმცა, ცხადია, ეს არ გამორიცხავდა წინააღმდეგობას და მტრობას მათ შორის. ამას ნათლად ადასტურებს 1919 წლის ოქტომბერში რუსეთის კომპარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილი მოხსენების ერთი ნაწილი:

«Партия мелкой буржуазии организовала горский Меджлис, имеющий целью восстановление Горской Республики семи народов (дагестанцев, чеченцев, ингушей, осетин, кабардинцев и др.) [...] рассчитывает на помощь Грузии и Азербайджана и в конечном счете на признание Горской Республики Антантой. Она боится большевиков и союза с Советской Россией, [...] но вместе с тем, понимая, что сейчас никто, кроме Советской России, не может оказать реальной помощи, согласна на работу в контакте с большевиками, но при условии, чтобы на дагестанском движении не был выкинут коммунистический флаг»[43].

1919 წლის შემოდგომაზე დენიკინელთა მანამდე წარმატებით წარმოებული სამხედრო ოპერაციები მოსკოვის მიმართულებით შეჩერებულ იქნა. 1920 წლის დასაწყისში შეიცვალა მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაშიც. ბოლშევიკები შეტევაზე გადავიდნენ დენიკინის არმიის წინააღმდეგ და უშუალოდ მიუახლოვდნენ კავკასიის რეგიონს. ახალი ვითარება კარგად აისახა იმ მოხსენებით ბარათში, რომელიც გამოაგზავნა საქართველოს კონსულმა თერგის ოლქში მაჩაბელმა:

[43] იქვე, გვ. 344.

«У аппарата командир Казбекского пограничного отряда. Передаю доклад консула Республики Грузия Мачабели, присланный сегодня с нарочным, господину товарищу министра иностранных дел.

Настоящим честь имею сообщить, что в районе, близком к Военно-Грузинской и Военно-Осетинской дорогам, никаких отрядов Добр[овольческой] армии, готовящихся к бегству в Грузию нет. В связи с продвижением большевиков, если таковое не будет остановлено и развитием паники возможность бегства на нашу территорию отдельных лиц и массовое не исключается, как по Военно-Грузинской, так и по Военно-Осетинской дорогам через Мамисонский перевал и Трусовское ущелье, но пока этого не наблюдается. Отдельные лица и поляки через польского консульского агента запрашивали, не встретится ли с нашей стороны препятствий к пропуску на нашу территорию, но, не имея определенных от вас инструкций по данному вопросу, ничего определенного ответить я не мог. Опубликованная вчера телеграмма, сообщая, что генерал Мамонтов под Ростовом ударом с тыла разбил конницу Буденного и отбросил находившихся в пяти верстах от Ростова большевиков на шестьдесят верст, захватив 13 орудий, пулеметы, имущество, успокаивающе подействовало на тыл, всегда легко поддающийся панике. За последнее время отношение к Грузии резко меняется к лучшему. Разосланы приказы, предписывающие не обострять отношений с Грузией и строго следить, чтобы никаких резких статей по отношению к Грузии в печати не появлялось, о чем объявлено всем редакторам. Наряду с этим штаб Эрдели рассылает все новые распоряжения о закрытии Военно-Грузинской дороги, предписывая никого, кроме официальных лиц, как в Грузию, так и из Грузии не пропускать, чему приписать такое расхождение политики штаба Эрдели с Главным командованием не знаю, но указанное распоряжение о закрытии дороги ставит грузин в очень тяжелое, безвыходное положение. Очень много мохевцев и горцев, приехавших сюда, никак не могут получить пропуска, а консульство, будучи лишено возможности

открыть официальные действия, не может оказывать никакой официальной помощи, без каковой они совершенно бессильны. Несмотря на указанные распоряжения армянам и осетинам совершенно свободно, почти ежедневно, выдаются пропуска; и создается впечатление, будто запрещение издано только для грузин, так как из желающих ехать на родину грузин, девяносто девять процентов не могут получить этой возможности и в случае дальнейшего продвижения большевиков, около двадцати пяти тысяч грузин, населяющих Северный Кавказ, лишенные возможности проезда, принуждены будут пережить все ужасы анархии до открытия дороги Добр[овольческой] армией. Считаю долгом предложить совершенно закрыть дорогу с нашей стороны и никого кроме грузин без нашего разрешения не пропускать. Принимая во внимание, что в официальных действиях консульства чувствуется очень острая потребность, прошу принять меры к разрешению со стороны командования Добр[овольческой] армии открыть официальные действия консульства при непремнном условии полной гарантии неприкосновенности жилища, канцелярий и служащих. Прошу принять экстренные меры к открытию Военно-Грузинской дороги и прислать указания на случай бегства частных лиц на нашу территорию, а также прошу информировать меня о ходе переговоров с Добр[овольческой] армией. Все указания прошу передавать начальнику Казбекского отдела по прямому проводу, который нарочным может доставить мне.

Консул Республики Грузии по Терской области Мачабели
Секретарь Комсиашвили»[44].

მაჩაბლის მოხსენება კარგად გვიხატავს იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში 1920 წლის იანვარში. მეტად საგულისხმოა, რომ შეცვლილია გენერალ დენიკინის პოზიცია საქართველოს მიმართ. გენერალი დენიკინი ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იმპერიის აღდგენისათვის იბრძოდა,

[44] საქ. ცსსა, ფ. 1969, აღწ. 2, საქმე №57, ფურცელი 15.

არ ცნობდა რუსეთის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებს და საქართველოს მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა. მაჩაბლის მოხსენებიდან კი ირკვევა, რომ 1920 წლის იანვარში გაზეთის რედაქტორებს საქართველოს საწინააღმდეგო სტატიების გამოქვეყნებაც კი აეკრძალათ, რათა არ გართულებულიყო ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლებასთან. რა თქმა უნდა, გენერალი დენიკინი საქართველოს მეგობარი არ გამხდარა. უბრალოდ, 1920 წლის დასაწყისში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ბოლშევიკები შეტევაზე გადავიდნენ და ამ დროს დენიკინს აღარ ეცალა საქართველოსთვის. უფრო მეტიც, საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა მისთვის აუცილებელი გახდა. ამიტომ მან და მისმა ხელქვეითებმაც (მაგრამ როგორც ჩანს, ყველამ არა) დროებით, ტაქტიკური მოსაზრების გამო პოზიცია შეიცვალეს. თეთრგვარდიელთა „კეთილგანწყობა" საქართველოს მიმართ, რომ ამ უკანასკნელთა მხრიდან იძულებითი ნაბიჯი იყო, ამაში თვით დოკუმენტში არსებული ორი ფაქტიც კი დაგვარწმუნებს: პირველი - მიუხედავად უმაღლესი მთავარსარდლის გადაწყვეტილებისა, გენერალი ერდელი მაინც ანტიქართულ ბრძანებებს იძლეოდა (თუმცა ამას ხელი არ შეუშლია თავად ერდელისათვის, დენიკინის არმიის განადგურების შემდეგ თავი ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ ბათუმში შეეფარებინა) და ქართველებისათვის კეტავდა სამხედრო გზას; მეორე - საქართველოს საკონსულოს არ ჰქონდა ოფიციალურად მოქმედების საშუალება, რაც ძალიან ართულებდა იმ 25 ათასი ქართველის ინტერესების დაცვას, რომლებიც ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ. ესეც დენიკინის იმ პოლიტიკის გამოხატულება იყო, რომელიც არ ცნობდა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკას.

ზემოთ განხილულ დოკუმენტს გამოგზავნის თარიღი არ უზის. ის ალბათ იანვრის პირველ ნახევარშია გამოგზავნილი, რადგან 16 იანვარს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ევგენი გეგეჭკორმა, მაჩაბლის მოხსენება სამხედრო მინისტრს გადაუგზავნა:

«საქართველოს
დემოკრატიული რესპუბლიკა
გარეშე საქმეთა მინისტრი
16 იანვარი 1920
292
ქ. ტფილისი

საიდუმლოთ
სამხედრო მინისტრს

გაახლებთ რა ამასთან ვლადიკავკავში მყოფ საქართველოს კონსულის მოხსენებას, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ სავსებით ვიზიარებ ზემოხსენებული კონსულის მოხსენებაში გამოთქმულ აზრს საზღვრების დახურვის შესახებ.

გარეშე საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი".

აღნიშნულ დოკუმენტს 22 იანვარს სამხედრო მინისტრმა შემდეგი სახის რეზოლუცია დაადო: „საქართველოდან გასვლა ძველის წესით, შემოსვლა კი მხოლოდ ქართველებს. გრიგოლ ლორთქიფანიძე"[45].

ამავე დროს საქართველო კვლავ აგზავნიდა სამხედრო ნაწილებს ჩრდილოეთ კავკასიელთა დასახმარებლად.

1920 წლის 4 იანვარს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის მოადგილე საქართველოში ვექილოვი, წერდა თავის მთავრობას:

«Вчера в разговоре со мною Гегечкори выражал опасения, что горцы в ближайшие дни провозгласят независимую Советскую Горскую Республику. Он подчеркнул то обстоятельство, что Нури-Паша работает солидарно с большевиками. По мнению Гегечкори, создается серьезная опасность для Грузии и Азербайджана, а потому необходимо принимать солидарно решительные меры. Он находит, что необходимо скорее пропустить посланные отсюда

[45] საქ. ცსსა, ფ. 1969, აღწ. 2, საქმე №57, ფურცელი 17.

грузинские отряды, задержанные в Баку, и усилить их нашими добровольцами.

Кроме того, Гегечкори полагает, что надо готовиться к совместным военным действиям на Северном Кавказе для защиты не только себя, но и горцев от большевиков. С этой целью грузины займут Владикавказ, а мы - Дагестан. В разговоре с иностранцами Гегечкори подготовляет почву к таким активным действиям.

Он очень просит сообщить взгляды нашего правительства по этим вопросам и, главным образом, по вопросу о турецко-большевистских планах»[46].

როგორც ჩანს, ამ წერილის მიუხედავად, საქართველოდან გაგზავნილი სამხედრო ნაწილის გაშვება ჩრდილოეთ კავკასიაში კვლავ ჭიანურდებოდა. ამას მოწმობს ინფორმაცია, რომელიც 1920 წლის 19 იანვარს გამოქვეყნდა გაზეთ „Вольный Горец"-ში:

«К начальнику грузинского отряда генералу Кереселидзе в Баку прибыл представитель от Совета обороны Республики Северного Кавказа с целью узнать, какие причины задерживают грузинский отряд от вступления на территорию Дагестана. Представитель заявил, что Совет обороны хочет, чтобы отряд скорей прибыл на место назначения и что Дагестан ждет братской помощи Грузии».

რაც შეეხება აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლის წერილის შინაარს, აღსანიშნავია, რომ კვლავ საქართველო გამოდის ერთობლივი მოქმედების ინიციატორად და საქართველოს ხელისუფლებას მოქმედების კონკრეტული გეგმაც გააჩნია.

თებერვლის დასაწყისში გენერალ კერესელიძის რაზმი უკვე დაშლილია. ამას ადასტურებს ერთი საარქივო დოკუმენტი:

[46] Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (1917-1918 г.г.). Горская республика (1918-1920 г.г.). с. 354.

«Главком
Вооруженными силами
Республики Горцев
Северного Кавказа
14 февраля 1920 г.
№ 439
г. Тифлис

Председателю правительства
республики
Г-ну Ною Николаевичу Жордания

РАПОРТ

Г-н председатель, прилагаем постановление ликвидационной комиссии Терского отряда и требовательные ведомости частей, прошу издать распоряжение о немедленной выдаче ликвидационной комиссии требуемой суммы денег для раздачи по принадлежности.

Сообщаю, что в настоящее время все офицеры и солдаты находятся в крайне плохом положении, в виду острой нужды в материальном отношении и за неимением места.

Генерал (подпись Лео Кереселидзе)

Начальник штаба генерал (подпись Гулисашвили)»[47].

1920 წლის 10 მარტს ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის თავდაცვის საბჭოს წარმომადგენელი წერილს უგზავნის საქართველოს მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გ. ალშიბაიას:

«В дополнение к нашему разговору, имевшему место 9-го сего месяца, прошу Вас не отказать доложить Вашему правительству следующее: В виду того, что на Северном Кавказе и в Дагестане за последнее время в народных массах сильно растет движение в пользу идеи полной горской независимости, группа горских социалистов-независимцев, образующая партию «Стиклад» (независимость) и выезжающая в Дагестан, хотела бы воспользоваться оружием бывшего отряда генерала Кереселидзе, находящемся в настоящее время, кажется, у Азербайджанского правитель-

47 საქ. ცსსა, ფ. 1861, აღწ. 2, საქმე №13, ფურცელი 21.

ства и предназначенным в свое время народной гвардией Грузии в дар горцам, защищающим свою независимость.

Поддержка грузинского народа горцам, создающим в чрезвычайно тяжелых условиях свою независимость, в этот момент была бы особенно ценной, поэтому надеюсь, настоящая просьба будет удовлетворена, и Вы будете любезны сообщить ответ Вашего правительства через нашего дипломатического представителя Гайдара Баммата в Леваши мне»[48].

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ისევე მიუღებელი იყო ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობისათვის, როგორც თავის დროზე გენერალ დენიკინის ხელისუფლება. გაზეთი „Вольный Горец" წერდა:

«Естественно полагать, что Советская Россия будет расширяться до пределов возможного.

[...] Наивны те, кто думает, что победа Советской России над Деникиным начало спокойствия. [...] Никогда еще единство демократического фронта для Кавказа не было необходимо так, как сейчас, для того, чтобы была возможность говорить и действовать от имени всего Кавказа».

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ჩრდილოეთ კავკასიელები კვლავ საქართველოსაგან ელოდნენ დახმარებას. ამას ნათლად ადასტურებს ავარიის მმართველის ყაითმაზ ალიხანოვის წერილი:

«Г. Министру Иностранных Дел. Начальника Аварии, полковника
Кайтмаза Алиханова, проживающего
в гост[инице] Кавказ

ДОКЛАДНАЯ ЗАПИСКА

Кровавый хаос, который внесли на Северный Кавказ сначала добровольцы, а затем большевики, ввергли народ Дагестана, аварцев, в заколдованный круг. Влияние большевизма охватило только плоскостной Дагестан и укрепилось по прибрежью

[48] Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (1917-1918 г.г.). Горская республика (1918-1920 г.г.). с. 353.

Каспийского моря. К нам, горцам Дагестана, также явились большевики, но пустить глубоко корни не смогли, так как мы горцы и в особенности аварцы отлично учли, что как под маской «доброволии», так и под маской большевизма таилась и таится стремление к собиранию и объединению бывшей России, т.е. к нам приходили и приходят русские с явным и скрытым лозунгом – «Единая и неделимая Россия».

Что значит русская великодержавная власть, мы уже испытали на себе, как и все народы бывшей «лоскутной» России. Насилие, произвол, темнота и невежество - вот всходы российских сеятелей. Все это хорошо понимая и хорошо помня былое, аварцы всеми доступными им средствами боролись и готовы бороться за свою свободу, за свою самобытность. Свободолюбие аварцы запечатлели на страницах истории. За нее, и во имя ее, они вели с русской мощью титаническую борьбу в продолжение 60-ти лет во главе с аварцем, - Шамилем. Все изложенное есть результат наблюдения моей жизни в горах Аварии в особенности двухлетнего управления этим краем по избранию народа. Как я уже сказал, большевики стали подходить к нам и почти заперли в свое кольцо Аварию.

Предыдущие два года я мог ограждать население от полчищ «деникинцев» и «ленинцев», но теперь, когда последние так укрепились на Северном Кавказе, что стали властно проявлять свое «Я», - мы, аварцы, забеспокоились за то, за что проливали и свою и чужую кровь. Наше имущество: - наша религия, адаты, честь наших жен и дочерей в опасности. Аварцы, видя и сознавая все это с одной стороны, а с другой не забывая того, что Авария до нашествия Тимура Самаркандского была нераздельной частью Грузии, а следовательно, близка ей по духу и крови, хотя разбавленного веками, ныне обращает свои взоры полные надежд в сторону грузинского народа. С этой целью было устроено совещание всех влиятельных лиц Аварии под моим председательством. Участники этого совещания пришли к единогласному и единодушному решению, а именно: обратится к Грузии, чтобы она присоединила к себе Аварию на автономных началах, т.е. внешняя политика, военное дело, финансы и просвещение должны

быть общими, нам же представлено внутреннее самоуправление и суд на началах Шариата.

Для доклада правительству Грузии воли аварского народа и выяснения взгляда грузинского народа на этот для нас животрепещущий вопрос, я и командирован сюда в Тифлис.

Стремясь выполнить возложенную на меня задачу, я обращаюсь к вашему превосходительству, господин министр, с настоящей краткой запиской. Для сведения правительства считаю необходимым указать границы Аварии, численность населения и род его занятий.

Аварский народ населяет Андийский, Аварский и Гунибский округа, часть Даргинского округа и несколько селений Темир-Хан-Шуринского округа. Границы указанных округов составляют с запада Андийский хребет, далее к югу граница идет прямой линией к главному хребту до Тушети; с севера - Тавлинский хребет, который имеет местные названия, смотря по тому, какие селения к нему примыкают, как то: - Чиркатинский, Гимринский, Каранаевский и Аракенский, - далее до Кызыл-Яра; с востока - до Кызыл-Яра по прямой линии и река Кара-Коису до главного Кавказского хребта. С запада живут чеченцы (Веденский округ) и частью кумыки (Хасав-Юртовский округ). С севера - кумыки (Темир-Хан-Шуринский округ). С востока акушинцы, жители даргинского округа и лаки Казакумухского округа и, наконец, с юга; - грузины.

В указанных границах живет сплошь население аварского племени, более 300000 душ. Занимаются скотоводством и овцеводством. Земледелие стоит на последнем месте.

Не лишним считаю упомянуть здесь, что по исследованиям последних лет твердо установлено, что земля и горы Аварии богаты всяческими ценными недрами, как то: золото, каменный уголь, ртуть и др. богатство. Недалеко от селений Миятлы и Зубут англичане уже производили добычу нефти, т.к. обнаружены большой мощности нефтеносные жилы. Все это является доказательством того, что при желании и умении, чего грузинам не приходится ни у кого занимать, - обогатится Грузия и в частности

Авария, выйдя из темноты и невежества, так культивированных русским правительством.

Помимо всего изложенного, с этим воссоединением Грузия получает выход и в Каспийское море.

Считаю свою задачу исчерпанной, я покорно прошу почтить меня ответом, дабы в случае согласия правительства Грузии принять к себе Аварию, могли бы приехать особоуполномоченные аварского народа для детального выяснения всех взаимоотношений.

Начальник Аварского округа
Дагестанской области К. Алиханов.
Город Тифлис
1920 г. 2-го дня июня»[49].

დოკუმენტი უაღრესად საინტერესოა იმ მხრივ, რომ ნათლად წარმოაჩენს თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოსა და ქართველებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ავარიელები, ზოგადად კი ჩრდილოეთ კავკასიელები. აღსანიშნავია - განსაკუთრებით დღეს, როდესაც ზოგიერთები ქართველებს ბრალს დებენ „მცირე ერების" დაჩაგვრაში, მათი კულტურისა და ტრადიციების ხელყოფაში, - რომ მუსლიმი ავარიელები ქრისტიან ქართველებთან შეერთებაში ხედავენ თავისი თავის, საკუთარი თვითმყოფადობის, კულტურის, სარწმუნოებისა და ტრადიციების გადარჩენის ერთადერთ გზას.

1920 წლის ივნისში, საქართველოს მთავრობას, დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, არ გააჩნდა საშუალება დახმარება გაეწია ავარიელებისათვის. 1920 წლის 7 მაისს დადებულ იქნა ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. ამ ხელშეკრულებით მოსკოვმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. ასეთ ვითარებაში, საქართველოს ხელისუფლებას არ შეეძლო ავარიის მოსახლეობის თხოვნის დაკმაყოფილება. ამ საკითხის არა თუ პრაქტიკული გადაწყვეტა, არამედ ოფიციალური განხილვაც კი რუსეთის მიერ გაგე-

[49] საქ. ცსსა, ფ. 1864, აღწ. 1, საქმე №25.

ბული იქნებოდა როგორც მის საშინაო საქმეებში ჩარევა და მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. ეს კიდევ უფრო დაძაბავდა ურთიერთობას საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რაც იმ დროისათვის აშკარად არ შედიოდა საქართველოს ინტერესებში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ავარიის ტერიტორიის ნაწილს 1920 წლის ივნისისათვის, უკვე ბოლშევიკები აკონტროლებდნენ. თუკი საქართველოს ხელისუფლება დააკმაყოფილებდა ავარიელების თხოვნას, ამას გარდაუვლად მოჰყვებოდა სამხედრო შეტაკება საბჭოთა რუსეთთან.

ალბათ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით უნდა აიხსნას ის, რომ პოლკოვნიკ ალიხანოვის მოხსენებით ბარათს თბილისის ოფიციალური რეაქცია არ მოჰყოლია. თუმცა საქართველოს ხელისუფლება და ქართველი ხალხი ამის შემდეგაც, შეძლებისდაგვარად დახმარების ხელს უწვდიდა ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებლებს. ამის დამადასტურებელი კიდევ ერთი დოკუმენტი მოიპოვება საქართველოს საისტორიო არქივში:

«Командующий всеми
Шариатскими войсками
горских народов
№ 81
1 февраля 1921 г.
Действ[ующая] армия.

ГРУЗИНСКОМУ ПРАВИТЕЛЬСТВУ

Предъявителя сего, личного адъютанта моего поручика Муса Цахой, командирую для передачи Вам самых лучших добрососедских чувств и пожеланий горских народов к народу Грузии, и, в свою очередь, выяснить взгляды и отношения Вашего народа и правительства к нам, и к событиям разыгравшихся и разыгрывающихся в настоящий момент у нас в горах. Вероятно, не безызвестны и Вам те героические подвиги горских народов,

совершенные в течение 5-6 месяцев в борьбе с большевиками. Нет и в истории такого народа, который бы боролся за свою свободу и независимость почти голыми руками против такого всесильного врага. Не раз были случаи и факты, как горцы, когда у них кончились патроны, с одними обнаженными кинжалами бросались на тысячные отряды большевиков, поддерживаемых сотнями пулеметов и десятками орудий, и вырезывали их до единого, а взятые в добычу оружие и патроны использовались сейчас же на другом фронте против самих же большевиков.

Враг неугомонный, несмотря на то, что целая армия их, т.е. 15000 вырезана в горах и ущельях Дагестана, все же пытается пробить пути к осажденным крепостям и спасти погибающие от голодной смерти свои гарнизоны. Нами тоже принимаются, в свою очередь, все меры не допускать этого, хотя нам приходится преграждать им пути почти одними кинжалами за недостатком патронов. У нас все время, с самого начала, абсолютный недостаток патронов. Если бы мы имели достаточное количество патронов, то давно уже вытеснили бы большевиков из горской территории.

Если только Грузия когда-либо сможет помочь своим братьям, горским народам, то от имени восставших горцев очень прошу помочь нам материально, в первую очередь патронами, перевязочными средствами, если возможно и мануфактурой.

Оказываемую помощь прошу отпустить только через вышеназванного адъютанта моего, который с самого момента восстания работает у меня здесь, а те офицеры-дагестанцы, которые живут в Тифлисе, когда Дагестан обливается кровью, смотрят на это сквозь пальцы, - не есть сыны Дагестана, а есть изменники его.

За оказанную помощь Дагестан и все горские народы сумеют отблагоднарить.

Командующий войсками полковник (подпись) - (М.П.)

Начальник штаба полковник (подпись)

Адъютант поручик (подпись)»[50].

---

[50] საქ. ცსსა, ფ. 1864, აღწ. 1, საქმე №50, ფურცელი 24.

ამ დროისათვის საქართველო თავად იმყოფებოდა კატასტროფის წინაშე. 1921 წლის 1 თებერვლისათვის, საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. კავკასიაში დარჩენილი ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაპყრობამდე სულ რამდენიმე კვირაღა იყო დარჩენილი. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს საქართველოს ხელისუფლებამ მაინც გაუწია დახმარება თავისუფლებისათვის მებრძოლ მოძმე ხალხს. ვალში არ დარჩნენ არც ჩრდილოკავკასიელები.

კერძოდ, როგორც შემდგომ იხსენებდა ემიგრაციაში ჰაიდარ ბამატი, «[...]ბოლშევიზმის წინააღმდეგ საერთოკავკასიული ფრონტის შექმნის მცდელობას ადგილი ჰქონდა უკანასკნელ მომენტშიც კი, - იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, - კავკასიური ეროვნული იდეის ამ ბოლო თავშესაფარს.

აზერბაიჯანელ და ჩრდილოკავკასიელ პატრიოტთა მიერ, რომლებმაც თავი საქართველოს შეაფარეს, ჩამოყალიბებულ იქნა აზერბაიჯანულ-ჩრდილოკავკასიური კომიტეტი.

1921 წლის 22 თებერვლის რადიოგამოსვლაში, [...]მისმა თავმჯდომარემ, ჰაიდარ ბამატმა, განაცხადა, რომ კომიტეტის მიზანია «რუსეთის ოკუპაციისაგან აზერბაიჯანისა და ჩრდილოკავკასიის განთავისუფლება, დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა და კავკასიური კონფედერაციის ჩამოყალიბება».

იმავე დღეს, კომიტეტმა, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ აზერბაიჯანისა და ჩრდილოკავკასიის დროებით მთავრობად იქნა აღიარებული, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ აზერბაიჯანელ და ჩრდილოკავკასიელ მკვიდრთა მობილიზაცია გამოაცხადა.

კომიტეტის სამხედრო ნაწილებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს დედაქალაქის თბილისის დაცვაში, რის შემდეგაც ქართული არმიის ნარჩენებთან ერთად ბათუმისკენ დაიხიეს»[51].

---

[51] Bammat H. Le Caucase et la revolution Russe. (Aspect politique). Paris, 1929. pp. 61-62.

როგორც ჩანს, ამ კრიტიკულ ვითარებაში, საქართველოს ხელისუფლება პარტიზანული მოქმედებების გადატანას ჩრდილოეთ კავკასიაშიც ცდილობდა.

ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი დოკუმენტი:

«Председателю Горско-Азербайджанского правительства
Гейдар беку Басисхатову

Так как у меня для содержания людей, находящихся со мной, совершенно нет средств, а также на разные непредвиденные расходы по перевозке вооружения из Тифлиса в Дагестан, прошу отпустить авансы.

Поручик Муса Цахоев»[52].

* * *

საქართველოს ხელისუფლება ზუსტად აფასებდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიას კონკრეტულად საქართველოსა და ზოგადად სამხრეთ კავკასიისათვის. ჩრდილოკავკასიური პოლიტიკას, თბილისისათვის აშკარად პრიორიტეტული ხასიათი ჰქონდა. ნოე ჟორდანიას თქმით, ქვეყანაში არსებული ურთულესი პრობლემების მიუხედავათ, ქართული მთავრობა არასდროს ეუბნებოდნენ უარს ჩრდილოკავკასიელებს სამხედრო დახმარებაზე. «ძლიერი და დამოუკიდებელი მთიელთა რესპუბლიკა, - მოსკოვის ნინააღმდეგ არსებული ბურჯი იყო»[53]. სამწუხაროდ, XX საუკუნის ოციანი

---

[52] საქ. ცსსა, ფ. 1969, აღწ. 2, საქმე №34, ფურცელი 1-2.
[53] Жордания Н. Моя жизнь. Стенфорд, 1968. с. 103.

წლების დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა კავკასია კვლავ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოაქცია.

მართალია, ამბობენ — ისტორიის მთავარი გაკვეთილი ის არის, რომ მის გაკვეთილებს არავინ სწავლობსო, მაგრამ წარსულის გამოცდილების გათვალისწინება, აუცილებელია მომავლის ასაშენებლად. მოცემულ შემთხვევაში, ისტორია კარგად გვიჩვენებს, თუ რაოდენ აუცილებელია საერთოკავკასიულ სოლიდარობაზე დამყარებული შესაფერისი რეგიონალური პოლიტიკური კურსის გატარება. ზემომოტანილი მასალები თვალნათლად მიუთითებენ იმ ობიექტურ გეოპოლიტიკურ რეალობაზე, რომ საქართველოს მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია კავკასიაში არსებული რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა.

გარეკანის პირველ გვერდზე 1918 წელს თბილისში სამხედრო დახმარების სათხოვნელად ჩამოსული ჩრდილოეთ-კავკასიელი მთიელები.

გამომცემლობა
არტანუჯი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 17 ბ
25-05-22, 8(99) 25-05-22, 8(93) 25-05-22
artanuji@telenet.ge